



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგი მერჩულე

გიორგი მერჩულე, X ს. მწერალი, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი.

გ. მ. განსწავლული პიროვნება იყო, იცოდა უცხოური ენები, საფუძვლიანად იცნობდა სას. მწერლობასა და ქრისტ. თეოლოგიას (პ. ინგოროყვას განმარტებით, „მერჩულე“ სამართლის სპეციალისტ-თეოლოგს, „რჯულის მეცნიერს“ ნიშნავს). მოღვაწეობდა ხანძთის სავანეში. აქვე დაუწერია ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (951). მასალად გამოუყენებია გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებისა და ამ მოწაფეთა მოწაფეების ნაამბობი, აგრეთვე ისტ.-ლიტ. წყაროები (კირილე ალექსანდრიელის, იპოლიტე რომაელის, კირილე სკვითოპოლელისა და სხვათა თხზულებანი). 958–966 გ. მ-ის თხზულება შეუვსია ბაგრატ ერისთავთერისთავს სასწაულმაუნეებელი პასაჟებით.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ასახავს VIII–IX სს. საქართვე. პოლიტ.-სახელმწიფოებრივ ვითარებას, ტაო-კლარჯეთში გაშლილ სამონასტრო მშენებლობასა და კულტ.-საგანმან. საქმიანობას, ვრცლად მოგვითხრობს გრიგოლ ხანძთელისა და მის თანამოღვაწეთა თავგადასავალს. ძეგლი პირველხარისხოვანი საისტ. წყაროა და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მრავალი საცილობელი საკითხის გადაჭრისას. საყურადღებოა ნაწარმოებში გადმოცემული ეროვნ. მთლიანობის იდეა ენისა და სარწმუნოების ერთიანობის საფუძველზე. გ. მ-ის აზრით, „ქართლი“ არ არის მხოლოდ ეთნოგრ. ერთეული – საქართველოა ყველგან, სადაც ღვთისმსახურება ქართ. ენაზე სრულდება: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“. იმხანად უკვე ცხადი გამხდარა, რომ ტერმ. „ქართლი“ ვეღარ იტევდა ახ. შინაარსს, რადგან იგი დიდი ხანია გასცდენოდა თავის ძველ

საზღვრებს. გ. მ-ს შუენიშნავს და საგანგებოდ განუმარტავს ეს შუესაბამობა.

გ. მ. ქართ. პროზის დიდოსტატია. აქვს დახვეწილი მხატვრული გემოვნება, ბრწყინვალე გამომსახველობით-აღწერილობითი უნარი, მოქმედ პირთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა.

შინაარსობრივ-თემატიკური სიმდიდრისა და მრავალფეროვნების, იდეურ-აზრობრივი სიღრმისა და მიზანდასახულობის გარდა, გვხიბლავს თხზულების მხატვრული ფორმაც. გამორჩეულია მწერლის მეტყველების სტილი, ხატოვანი, სადა და მარტივი ენა. თხზულებაში სრულყოფილად არის ასახული ყოფითი რეალები. ნაწარმოები მნიშვნელოვანია აგრეთვე როგორც ლიტერატურული წყარო: გვანჯდის ცნობებს IX-X სს. მიჯნაზე მოღვაწე ქართვ. მწერლების (სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მანყვერელი, სტეფანე მტბევარი) შესახებ.

გ. მ. ძირითადად ოფიც. ქრისტ. იდეოლოგიის დამცველია. იგრძნობა მისწრაფება საერო თემატიკისაკენ, რაც უმთავრესად სატრფიალო თავგადასავალთა გადმოცემაში მჟღავნდება. მწერალი ქადაგებს კაცთმოყვარეობასა და პატრიოტიზმს. საინტერესოა მისი მსოფლმხედველობა ქართული საბ. და ფილოს. აზრის ისტორიის თვალთახედვით. გ. მ. საჭიროდ მიიჩნევდა საერო ფილოს. შესწავლას და მისგან თეოლოგიისათვის მისაღების გამორჩევას. ჩვენამდე მოღწეულია „ცხოვრების“ ერთადერთი, XII ს. (ზოგიერთი მოსაზრებით, XI ს.) ხელნაწერი, დაცული იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში (მიაკვლია ნ. დ. ჩუბინაშვილმა 1845); 1902 ნუსხა აღწერა ნ. მარმა, მანვე გამოაქვეყნა სამეცნ. გამოცემა რუს. თარგმანითურთ ("Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии", VII, СПб., 1911), რ-იც ლათინურად თარგმნა პ. პეტერსმა (1923). 1956 დ. ლანგმა გამოაქვეყნა მისი ინგლ. პარაფრაზი.

გ. მ-ის სახელს ქართ. ჰიმნოგრაფიასაც უკავშირებენ: მიქაელ მოდრეკილის კრებულში ერთ საგალობელს აწერია „მერჩულიულნი უცხონი“. საფიქრებელია, რომ ეს ჰიმნი ან გ. მ-ისაა, ან მის მიერ დამკვიდრებული ფორმითაა დაწერილი (იხ. მერჩულიულნი).

გ. მ. შერაცხულია წმინდანად და მოიხსენიება 5(18). X. კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა შორის.

თხზ.: შრომად და მოღუანებად ღირსად ცხორებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისად, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისად, და მის თანა ხსენებად მრავალთა მამათა ნეტართად, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963; ცხორება გრიგოლ ხანძთელისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთა, პ. ინგოროყვას გამოც., [ტ.]1, თბ., 1949.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე რ., გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენიერება, თბ., 2001; გ ო გ ო ლ ა ძ ე - გ ა ბ უ ნ ი ა მ., მწერალთა ბიოგრაფიები, თბ., 2004; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; მ ი ს ი ვ ე, თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

დ. მენაბდე
